საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 2

ქ. თბილისი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია N 108
12.04.2023, 14 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: აბაშიძე ზვიად, ბადაშვილი მედეა, ბერულავა გიორგი, გელაშვილი სიმონ, გოგიაშვილი ლიანა, დორეული ნანული, ებრალიძე თამარ, თვალთვაძე დარეჯან, ლომინაძე გიორგი, მაჭავარიანი ლია, მეძმარიაშვილი ელენე, პატარიძე დიმიტრი, სანაძე რუსუდან, ჭედია როინ, ჯავახიშვილი ნიკოლოზ, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს აცნობა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საბჭო ვალდებული იყო საბჭოს თავმჯდომარე ფარული კენჭისყრით აერჩია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მან განმარტა, რომ საარჩევნო ბიულეტენში საბჭოს ყველა წევრი იყო მითითებული და შეეძლოთ ხმის მიცემა ნებისმიერი წევრისთვის. მან სთხოვა საბჭოს წევრებს ხმის დამთვლელი კომისიის

შემადგენლობის დამტკიცება და წამოაყენა ნიკოლოზ ჯავახიშვილის და ზვიად აბაშიძის კანდიდატურები.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა დაამტკიცეს წარმოდგენილი შემადგენლობით.
მოისმინეს: ნიკოლოზ ჯავახიშვილმა საბჭოს აცნობა ფარული კენჭისყრის შედეგი - 21 ბიულეტენიდან დარიგდა - 16; ხმა მისცა საბჭოს 16-მა წევრმა, არცერთი ბიულეტენი არ იყო ბათილი; 9 ხმა მიიღო დარეჯან თვალთვაძემ, 4 ხმა - ლია მაჭავარიანმა, 1 ხმა - თამარ ჯობავამ, 1 ხმა - ელიზბარ ნადარაიამ, 1 ხმა - გიორგი ლომინაძემ.
დაადგინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისას საბჭოს ვერცერთმა წევრმა ვერ მიიღო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით საჭირო ხმების რაოდენობა, შესაბამისად, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს მიმართა წინადადებით სხდომის მდივნობა დაევალოს გიორგი ბერულავას.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო სხდომის მდივნობა დაევალოს გიორგი ბერულავას.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს განსახილველად წარუდგინა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების და დამატებების პროექტი, რომელიც საბჭოს წევრებს მიღებული ჰქონდათ ელფოსტით წინასწარ საბჭოს აპარატის უფროსის, დალი კანდელაკისგან.
მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა, დალი კანდელაკმა, მუხლობრივად განიხილა საბჭოს დებულებაში ცვლილებების და დამატებების პროექტი.
აზრი გამოთქვა: ლია მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება, თუ საბჭოს წევრები სიღრმისეულად განიხილავენ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების და დამატებების პროექტს, საკუთარ მოსაზრებებს ელფოსტით

გაუზიარებენ ერთმანეთს და საბჭოს შემდეგ სხდომაზე გააგრძელებენ პროექტის განხილვას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა გადაიდოს მომავალი სხდომისთვის.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს განსახილველად წარუდგინა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების და დამატებების პროექტი, რომელიც საბჭოს წევრებს მიღებული ჰქონდათ ელფოსტით წინასწარ აპარატის უფროსის, დალი კანდელაკისგან.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა, დალი კანდელაკმა, აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში არის გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის მის სრულფასოვან საქმიანობას; შესაბამისი ცვლილებების და დამატებების პროექტი შემუშავებულია მის მიერ და შეთანხმებულია უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან, არჩილ კუკულავასთან.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება, თუ საბჭოს წევრები სიღრმისეულად განიხილავენ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების და დამატებების პროექტს, საკუთარ მოსაზრებებს ელფოსტით გაუზიარებენ ერთმანეთს და საბჭოს შემდეგ სხდომაზე გააგრძელებენ პროექტის განხილვას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა, ლიანა გოგიაშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა გადაიდოს მომავალი სხდომისთვის.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესი წევრი
ლიანა გოგიაშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის მდივანი
გიორგი ბერულავა